

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების
კომისიის სხდომის

ოქმი N5

ქ. თელავი

2022 წლის 23 მაისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ლევან კოჭლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ლაღანიძე, ზურაბ მოსახლიშვილი, ზაზა
ტატულიშვილი, გიორგი ქართლელიშვილი, ივანე კირვალიძე,
მამუკა ბურდიაშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, რამაზ
ჩეკურიშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-
საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევან
ბერძენაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-
საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ლილუაშვილი, ა(ა)იპ
„თელავის სატრანსპორტო სამსახური“-ს დირექტორი ივანე
იორდანიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით
ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი
რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე.

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქალაქ თელავის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო
გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების
დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს ლ. კოჭლოშვილი

მოისმინეს: 1. ქალაქ თელავის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო
გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების
დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვას: ლევან კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი ეხება ქ.თელავის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დადგენის საკითხს.

ზურაბ მოსახლიშვილმა აღნიშნა, რომ მარშრუტებში ჩართული უნდა ყოფილიყო სოფ. ვარდისუბანი. აღნიშნული შეთანხმება არსებობდა მერიასთან და მისთვის გაუგებარია თუ რატომ არ არის წარმოდგენილი პროექტში.

ზურაბ ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია მარშრუტები დამტკიცდეს შალაურის, კურდღელაურის, და ვარდისუბნის მიმართულებით.

ივანე იორდანიშვილმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია ზემოაღნიშნული სოფლების ჩართვა დასამტკიცებელ მარშრუტებში.

ლევან კოჭლოშვილმა კომისიის წევრებს შესთავაზა წინადადება, რომ სხდომა გადადებულიყო 24 მაისს 11 საათისათვის და თელავის მუნიციპალიტეტის მერიას კომისიის სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით წარმოედგინა პროექტის შესწორებული ვერსია რაც მხარდაჭერილი იქნა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრების მიერ.

გადაწყვიტეს: კომისიის სხდომა გადაიდოს 2022 წლის 24 მაისისათვის. რეკომენდაცია მიეცეს თელავის მუნიციპალიტეტის მერიას კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით წარმოადგინოს ავტობუსების მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ პროექტის შესწორებული ვერსია.

კომისიის თავმჯდომარე



ლევან კოჭლოშვილი